



საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილება
მოსკოვის საპატრიარქო

სსკ-ს თავმჯდომარე ოქსფორდს ეწვია



2021 წლის 24 ოქტომბერს მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ილარიონი, რომელიც მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს ლოცვა - კურთხევით დიდ ბრიტანეთში იმყოფება, ოქსფორდს ეწვია.

წმ. ნიკოლზ საკვირველთმოქმედის ტაძარში მას შეეგება წინამძღვარი, ცენტრალური ინგლისის ოლქის

(სუროჟის ეპარქია) ეპარქიალური ბლალოჩინი, დეკანოზი სტეფანე პლატი.

იმავე დღეს მიტროპოლიტმა ილარიონმა მოინახულა ოქსფორდში მცხოვრები დიოკლიის მიტროპოლიტი კალისტე (კონსტანტინეპოლის საპატრიარქო), რომელიც მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო ოქსფორდის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში (1993-1995). სსკგ-ს თავმჯდომარემ იერარქს უამბო რუსეთის ეკლესიაში საღვთისმეტყველო მეცნიერების განვითარებისა და საღვთისმეტყველო განათლების შესახებ.

შეხვედრის სამახსოვრად მიტროპოლიტმა ილარიონმა მიტროპოლიტ კალისტეს საჩუქრად მიართვა თავისი წიგნის, „სახარების დასაბამი“, ინგლისურენოვანი თარგმანი – ეს არის პირველი ტომი ექვსტომეული კვლევისა თემაზე „იესო ქრისტე. ცხოვრება და სწავლება“. წიგნი გამოცემულია ნიუ-იორკის ნმინდა-ვლადიმერის სემინარიის მიერ. თავის მხრივ, მიტროპოლიტმა კალისტემ რუსეთის ეკლესიიდან წვეული სტუმარი დაასაჩუქრა წიგნის – „სერაფიმე-დივეევოს მონასტრის ჟამთააღწერები“ – ინგლისური თარგმანით და თავისი წინასიტყვაობით.

სსკგ-ს კომუნიკაციის სამსახური

წყარო: <https://mospat.ru/ge/news/88308/>